**შემოსავლების სამსახურის უფროსის**
**ბრძანება №355**

**2021 წლის 18 იანვარი**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**1.** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №10):

**ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:**

**ა.ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

„ა$^{1}$) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად, დღგ-ის გადამხდელისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას;“;

**ა.ბ) „მ$^{7}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ$^{8}$“ ქვეპუნქტი:**

„მ$^{8}$) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანხების დარიცხვას/შემცირებას;“;

**ბ) 11$^{1}$ მუხლის „დ$^{7}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ$^{8}$“ ქვეპუნქტი:**

„დ$^{8}$) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანხების დარიცხვას/შემცირებას;“;

**გ) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

„ა$^{1}$) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად, დღგ-ის გადამხდელისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭება;“;

**დ) 16$^{1}$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

„ა$^{1}$) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად, დღგ-ის გადამხდელისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭება;“.

**2**. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**შემოსავლების სამსახურის უფროსი** **ლევან კაკავა**